დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის

ოქმი № 11

ქ. დმანისი 26 აგვისტო 2019 წელი

სხდომის თავმჯდომარე დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარე **მერაბი ოქრიაშვილი**
სხდომას აგრეთვე ესწრებოდა: დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსი თემურ ტატულაშვილი , დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსის მოვალეობის შემსრულებალი თინათინ ციხელაშვილი
სხდომის მდივანი: ლომა გადრანი
სხდომა დაიწყო: 12. 00
სხდომა დასრულდა: 12. 20

დღის წესრიგი:

1	**დადგენილება:** ,,დმანისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ'' დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 დეკემბრის №51 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე
მომხსენებელი:	**თ. ტატულაშვილი**

2	**განკარგულება:** დმანისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის 6 თვის შესრულების ანგარიშის განხილვის შესახებ
მომხსენებელი:	**თ. ტატულაშვილი**

3	**განკარგულება:** ,,დმანისის მუნიციპალიტეტის ქონების 2019 წლის საპრივატიზებო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ'' დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 07 მარტის №14 08 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე
მომხსენებელი:	**გ. ციხელაშვილი**

4	**განკარგულება:** ,,დმანისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ უძრავი ქონების (სასოფლო-სამეურნეო) დანიშნულების მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარით გაცემის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ'' დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 19 ივლისის №44 08 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე
მომხსენებელი:	**გ. ციხელაშვილი**

5	**განკარგულება:** დმანისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ უძრავი ქონების (სასოფლო-სამეურნეო) დანიშნულების მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარით გაცემის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ
მომხსენებელი:	**გ. ციხელაშვილი**

6	**დადგენილება:** "დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის მითითების აქტის და შემოწმების აქტის ფორმის დამტკიცების თაობაზე" დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 15 მაისის N26 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე
მომხსენებელი:	**კ. პეტრიაშვილი**

1.მომახსენებელი : **თემურ ტატულაშვილმა** საკრებულოს წევრებს წარუდგინა დადგენილების პროექტი ,,დმანისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 დეკემბრის №51 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე , აღნიშნულ ცვლილებებს წარმოადგენს შემდეგი:

საქართველოს მთავრობის 2019 წლის 1 აგვისტოს №1733 განკარგულებით „ სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების მიზნით" დმანისის მუნიციპალიტეტს გამოეყო 150,0 ათასი ლარი, რომელიც ასახული იქნა გადასახდელების ორგანიზაციულ კოდში 030202 „ბინათმშენებლობის" სხვა ხარჯების მუხლში.

დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 19 ივლისის №49 08 განკარგულების საფუძველზე ადგილობრივი ბიუჯეტიდან დასაფინანსებელი ინფრასტრუქტურული პროექტების ცვლილებებთან დაკავშირებით შეტანილი იქნა ცვლილება დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 19 ივლისის №10 დადგენილებით დამტკიცებულ ბიუჯეტში, შემდეგ ორგანიზაციულ კოდზე:

-მე-17 მუხლით დამტკიცებული ასიგნებები ორგანიზაციული კოდი 0301 „საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვის" არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლი 2890.1 ათასი ლარის ნაცვლად განისაზღვროს 2605.6 ათასი ლარის ოდენობით.

-მე-17 მუხლით დამტკიცებული ასიგნებები ორგანიზაციული კოდი 030202 „ბინათმშენებლობის" არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლი 845.2 ათასი ლარის ნაცვლად განისაზღვროს 1102.8 ათასი ლარის ოდენობით.

-მე-17 მუხლით დამტკიცებული ასიგნებები ორგანიზაციული კოდი 030203 „გარე განათების მოწყობა,რეაბილიტაცია და ექსპლუატაციის" არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლი 621.1 ათასი ლარის ნაცვლად განისაზღვროს 571.1 ათასი ლარის ოდენობით.

-მე-17 მუხლით დამტკიცებული ასიგნებები ორგანიზაციული კოდი 030301 „მუნიციპალიტეტის სოფლების და ქალაქის ტერიტორიის კეთილმოწყობის"არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლი 2206.6 ათასი ლარის ნაცვლად განისაზღვროს 2283.6 ათასი ლარის ოდენობით.

ამრიგად, დმანისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის შემოსულობები და გადასახდელების მოცულობა განისაზღვრა 19970.3 ათასი ლარის ოდენობით.

აზრი გამოთქვეს:

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს წარმოდგენილი დადგენილების პროექტი.

მომხრე: 22

წინაღმდეგი:

2. **მომხსენებელი: თემურ ტატულაშვილმა** საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი დმანისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის 6 თვის შესრულების ანგარიშის განხილვის შესახებ

დმანისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტი დამტკიცებულია დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 დეკემბრის N51 დადგენილებით ორგანიზაციული და ფუნქციონალური კლასიფიკაციის ჭრილში ბიუჯეტის შემოსულობების და გადასახდელების გათვალისწინებით, რომლის მოცულობა შეადგენს 8019,0 ათასი ლარს, მათ შორის: გადასახადები 6289,0 ათასი ლარი, გრანტები - 130,0 ათასი ლარი, სხვა შემოსავლები - 1595,0 ათასი ლარი და არაფინანსური აქტივების კლება - 5,0 ათასი ლარი.

საანგარიშო პერიოდში დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ შესაბამისი დადგენილებით შეტანილი იქნა ცვლილება დმანისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტში ხუთჯერ; აქედან საქართველოს მთავრობის 2019 წლის 16 იანვრის N6, 2019 წლის 8 თებერვლის N207, N208 2019 წლის 26 თებერვლის N336 და 2019 წლის 15 მარტის N554 განკარგულების საფუძველზე და წლის დასაწყისისთვის არსებული ნაშთის მიმართვით ხარჯების დასაფარავად

ერთხელ შიდა გადაადგილებით, რომლის წლიური შემოსულობები და გადასახდელების მოცულობა განისაზღვრა 18648,3 ათასი ლარი.

დმანისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის 6 თვის ბიუჯეტის შემოსულობების საკასო შესრულებამ შეადგინა 46,5 % (გეგმა - 12906,1 ათასი ლარი, ფაქტი - 5995,2 ათასი ლარი) მათ

ა) დამატებითი ღირებულების გადასახადი შესრულებულია 81% (გეგმა - 2789,7 ათასი ლარი-ფაქტი 2261,0 ათასი ლარი).

ბ) ქონების გადასახადი 161 % (გეგმა 677,0 ათასი ლარი, ფაქტი 10899 ათასი ლარი)

გ) გრანტები-სახელმწიფო ბიუჯეტიდან ტრანსფერები მიღებულია - 34,2 % (გეგმა -4113,7 ათასი ლარი, ფაქტი - 1404,9 ათასი ლარი)

დ) სხვა შემოსავლები შესრულებულია 114,5 % (გეგმა - 1057,4 ათასი ლარი, ფაქტი - 1211,2 ათასი ლარი), აქედან ძირითადად შემოსულია მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის 900,0 ათასი ლარი RMG GOLD-ის მიერ გადახდილი თანხის შედეგად და კომერციული ბანკში განთავსებულ ანგარიშზე დარიცხული პროცენტებიდან 116,4 ათასი ლარი. ასევე გასათვალისწინებელია RMG GOLD-ის მიერ 2019 წლის 12 ივლისს გადახდილი მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის 1300,0 ათასი ლარის გადახდით.

ე) შემოსავალი მიწის იჯარიდან - 105,0 ათასი ლარი რაც დაგეგმილი მაჩვენებლის 105 %-ია (გეგმა 100,0 ათასი ლარი, ფაქტი 105,0 ათასი ლარი).

საქონლისა და მომსახურების რეალიზაციიდან შემოსულია 13,1 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 43,7 %-ია (გეგმა 30,0 ათასი ლარი, ფაქტი 13,1 ათასი ლარი), ხოლო ჯარიმები, სანქციები და საურავებიდან შემოსულია 54,7 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 194,7 %-ია (გეგმა 28,1 ათასი ლარი, ფაქტი 54,7 ათასი ლარი), და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები მიღებულია - 9,0 ათასი ლარი და ძირითადი აქტივების გაყიდვიდან 19,6 ათასი ლარი, ხოლო მიწის გაყიდვიდან 8,7 ათასი ლარი.

დმანისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის 6 თვის ბიუჯეტის გადასახდელები ათვისებულია 36,2% (გეგმა 12903,0 ათასი ლარი, ფაქტი 4676,5 ათასი ლარი), მათ შორის:

- წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების შენახვის ხარჯები 81,2% (გეგმა - 1464,9 ათასი ლარი, ფაქტი - 1190,2 ათასი ლარი).
- ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამაღლების ხარჯები 102 % (გეგმა - 36,1 ათასი ლარი, ფაქტი - 36,8 ათასი ლარი).
- ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაციის ხარჯები - 24 % (გეგმა - 9863,4 ათასი ლარი, ფაქტი - 2367,7 ათასი ლარი, აქედან ადგილობრივი შემოსავლებით განხორციელებული პროექტები შეადგენს 26,3 %-ს (გეგმა 5175,0 ათასი ლარი, ფაქტი - 1358,8 ათასი ლარი).
- საგანმანათლებლო ღონისძიებების ხარჯები - 50,9 % (გეგმა 866,7 ათასი ლარი, ფაქტი 441,2 ათასი ლარი).
- სპორტიული და კულტურული ღონისძიებების ხარჯები - 91,4 % (გეგმა - 423,1 ათასი ლარი, ფაქტი 386,8 ათასი ლარი).
- სოციალური და ჯანდაცვის პროგრამების განხორციელებისთვის - 100,7 % (გეგმა - 251,9 ათასი ლარი, ფაქტი 253,7 ათასი ლარი).
- ზემოთ აღნიშნული ფაქტიური ხარჯებიდან;

ა) შრომის ანაზღაურებაზე გაცემულია 671,7 ათასი ლარი, რაც მთლიანი ხარჯების 14,4 %-ს შეადგენს.

ბ) საქონელი და მომსახურების ფაქტიური ხარჯების მოცულობამ შეადგინა 614,5 ათასი ლარი ანუ მთლიანი ხარჯების 13,1%, აქედან: შტატგარეშე დასაქმებულ თანამშრომლებზე -1%, ოფისის ხარჯები - 3,4 %, ტრანსპორტისა და ტექნიკის ექსპლოატაციის მოვლა-შენახვის ხარჯები - 1,6%, სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურებაზე - 6,6%, სამივლინებო ხარჯები 0,4 და წარმომადგენლობითი ხარჯები - 0,1%.

გ) ააიპ - ების სუბსიდირებაზე გაცემულია - 19,3%.

დ) სოციალური უზრუნველყოფის მუხლით გათვალისწინებული ხარჯები გაწეულია - 4,2%.

ე) სხვა ხარჯების მუხლით გაცემულია - 1,3%

ვ) არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლით დაფინანსებულია - 47,4 %.

ზ) რბილი ინვენტარის შეძენის ხარჯები 0,1%

დმანისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის 6 თვის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან მერიის შესაბამისი ბრძანებების საფუძველზე გაცემულია 70,0 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:

ა) სოფელ სარკინეთში არსებულ სასმელი წყლის მაგისტრალური ხაზის რეაბილიტაციაზე 679 ლარი ქ.დმანისში წმინდა ნინოს ქ.N41-ში მდებარე საკანალიზაციო სისტემის მოწყობაზე *855 ლარი.*

ბ) 2019 წლის 16 იანვარს ძლიერი ქარის შედეგად დაზიანებული მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოქალაქეების საცხოვრებელი ბინების სახურავის აღსადგენად, დაზიანებული ქონების შესყიდვის მიზნით და მრავალბინიანი კორპუსის სახურავის დროებითი გადაფარებისათვის ტენტის შესაძენად გაცემული იქნა 23922 ლარის ოდენობით.

გ) ხანძრის შედეგად დამწვარი მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრებ მოქალაქეების საკუთრებაში არსებული დამწვარი თივის პრესის და საცხოვრებელი სახლის ნაწილობრივ ანაზღაურებისათვის 8250 ლარი, ასევე ერთჯერადი სახით გაცემული იქნა მუნიციპალიტეტის ტერიტორიის მცხოვრები მოქალაქეების დაზიანებული საცხოვრებელი სახლების აღსადგენად 4693 ლარი, ხოლო უმწეო მდგომარეობაში მყოფი მოქალაქეებზე სარიტუალო ხარჯების დაფარვისათვის - 2950 ლარი და სოფელ გომარეთში, სოფ.ვარდისუბანში, სოფ.ბოსლებში, სოფ.მაშავერაში, სოფ.ზემო ოროზმანში და ქ.დმანისში მცხოვრებ მოქალაქეების მკურნალობისათვის 2720 ლარი.

დ) საქართველოს ჩემპიონატი მკლავჭიდში მონაწილეობის მისაღებად გაცემული იქნა 1300 ლარი და ძიუდოში მონაწილეობის მისაღებად 720 ლარი. ასევე დმანისის მუნიციპალიტეტის მიერ დაგეგმილ ,,შუქრი ჩხეტიანის სახელობის'' სამოყვარულო ტურნირი ჭადრაკში, კორნელი გირგვლიანის ხსოვნისადმი მიძღვნილი საერთაშორისო ტურნირი ძიუდოში და სხვა ღონისძიების ჩატარებისათვის გამარჯვებული სპორტსმენების დაჯილდოებისათვის-მედლები, დიპლომები, თასები, სიგელების შესაძენად გაცემულია 3054 ლარი.

ე) შობის ბრწყინვალე დღესასწაულთან და აღდგომის დღესასწაულთან დაკავშირებით უკიდურესად გაჭირვებული ოჯახებისათვის ნობათის სახით სასაჩუქრე პაკეტების გაცემისათვის 6736 ლარი.

ვ) სოფ.პატარა დმანისში და სოფ.ზემო ოროზმანში სარიტუალო დარბაზის საძირკვლის გრუნტის გეოლოგიური კვლევის ჩატარებისათვის 3700 ლარი.

ზ) ქ.დმანისში ხერგიანის ქუჩაზე მდებარე საზოგადოებრივი ცენტერის წინ სივრცის შემოღობვისათვის 1921 ლარი.

თ) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უმეთვალყურეოდ დარჩენილი ძაღლების თავშესაფარში გადაყვანისათვის 8500 ლარი.

2019 წლის 1-ლი ივლისის მდგომარეობით სარეზერვო ფონდის ნაშთი შეადგენს 50,0 ათას ლარს.

აზრი გამოთქვეს: 0

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

მომხრე: 22

წინაღმდეგი: 0

3. **მომხსენებელი: გოგი ციხელაშვილმა** საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი ,,დმანისის მუნიციპალიტეტის ქონების 2019 წლის საპრივატიზებო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ'' დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 07 მარტის №14 08 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე დანართის შესაბამისად:

დმანისის მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული ქონების 2019 წლის საპრივატიზებო ობიექტების ნუსხა (დანართი)

N	დასახელება	მისამართი	საკადასტრო კოდი	მიწის ფართობი (კვ.მ.)	შენობა-ნაგებობის ფართობი (კვ.მ)	საბაზრო ღირებულება (ლარში)	
1	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების	სოფელი გომარეთი	82.05.45.008	528.8	528.8	3000	———

	სახელოსნო						
2	სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (სახნავი)	სოფელი განთიადი	82.13.42.517	48500	_____	4850	____
3	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, საზეინკლო სახელოსნო	სოფელი დიდი დმანისი	82.12.44.002	656	194	10000	_____
	დასახელება	**მისამართი**	**დიამეტრი (მმ)**	**რაოდენობა გრძ/მეტრი**	**ფიზიკური მდგომარეობა**	**1 გრძ/მეტრი მეორადი დანიშნულების შავი ლითონის მილის ფასი (ლარი)**	**საბაზრო ღირებულება (ლარში)**
4	ლითონის მილი	ქ. ხაშური იმერეთის ქ. N90	520	180.8	მეორადი	120	21696
	დასახელება	**სახელმწიფო N**	**გამოშვების წელი**	**საიდენტიფიკაციო N**	**ფერი**	**მდგომარეობა**	**საბაზრო ღირებულება (ლარში)**
5	MERZEDES -BENZ-E260	CAG 782	1991	WDB12402 61B425449	შავი	გაუმართავი	1,500

აზრი გამოთქვეს: 0

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

მომხრე: 22

წინაღმდეგი:

4. **მომხსენებელი: გოგი ციხელაშვილმა** საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი ,,დმანისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი საკრებულოს 19 ივლისის № 44 08 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე სადაც დაზუსტებული იყო საიჯარო ქირის ოდენობა , რომელიც შეადგენს 3240 (სამიათასორასორმოცი) ლარს წელიწადში.

აზრი გამოთქვეს: 0

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

მომხრე: 22

წინაღმდეგი:

5. **მომხსენებელი: გ. ციხელაშვილმა** საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი დმანისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით იჯარით ორი წლის ვადით, დმანისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში

დაზუსტებული ფართობი 146086,00 კვ.მ. და საიჯარო ქირად განისაზღვროს 316,00 (სამასთექვსმეტი) ლარი წელიწადში.

აზრი გამოთქვეს: 0

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

მომხრე: 22

წინაღმდეგი:

6. **მომხსენებელი: კახა პეტრიაშვილმა** საკრებულოს წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი "დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის მითითების აქტის და შემოწმების აქტის ფორმის დამტკიცების თაობაზე" დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 15 მაისის N26 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მოგახსენებთ, რომ 2019 წლის 03 ივნისს ამოქმედდა საქართველოს კანონი „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი". აღნიშნული კოდექსის ამოქმედების გამო საჭირო გახდა დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის მითითების აქტის და შემოწმების აქტის ახალი ფორმების დამტკიცება შემდეგი სახით:

დანართი №3

დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის
სამსახური მითითების აქტი №_____

_____
_____/_____/_____წ.
(შედგენის ადგილი) (შედგენის თარიღი)

დამრღვევის დასახელება:
_____
___
(სახელი, გვარი, პირადი ნომერი/ორგანიზაციის სახელწოდება, საიდენტიფიკაციო ნომერი)

სამშენებლო ობიექტი:
_____
___
_____
___
(დანიშნულება, მისამართი,საკადასტრო კოდი,მესაკუთრე)

საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი" 123-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, ადმინისტრაციული წარმოებისას გამოვლინდა სამართალდარღვევის შემდეგი ფაქტი:
_____
___
_____
___
_____

საქართველოს კანონის „სივრცის დაგაეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი“ 124-ე მუხლის საფუძველზე გაიცა მითითება:
ა) სამშენებლო დოკუმენტაციის წარდგენის შესახებ;
ბ) დარღვევის გამოსწორების შესახებ;
გ)სამშენებლო ობიექტზე არსებული სამშენებლო მასალის, ნაკეთობისა და კონსტრუქციის გამოყენების აკრძალვის შესახებ;
დ) მშენებლობის ორგანიზების პროექტით დადგენილი წესების დარღვევის გამოსწორების შესახებ.
დარღვევის გამოსწორების ვადა _____ (_____) დღე.

მუნიციპალიტეტის უფლებამოსილი პირი: _____
_____ (სახელი, გვარი)
(ხელმოწერა)

დამრღვევი: _____
_____ (სახელი, გვარი)
(ხელმოწერა)
შენიშვნა:
_____
___
_____
___
_____
___

დანართი №4

დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის
სამსახური შემოწმების აქტი №_____

_____
_____/_____/_____წ.
(შედგენის ადგილი) (შედგენის თარიღი)

დამრღვევის დასახელება:

_____
___
(სახელი, გვარი, პირადი ნომერი/ორგანიზაციის სახელწოდება, საიდენტიფიკაციო ნომერი)

სამშენებლო ობიექტი:
_____
___
_____
___
(დანიშნულება, მისამართი, საკადასტრო კოდი, მესაკუთრე)

ნაწილის შესაბამისად, ადმინისტრაციული წარმოებისას გამოვლინდა სამართალდარღვევის შემდეგი ფაქტი:

_____

_____

_____

1. „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი“ საქართველოს კანონის 124-ე მუხლის საფუძველზე გაიცა მითითება:

ა) სამშენებლო დოკუმენტაციის წარდგენის შესახებ;

ბ) დარღვევის გამოსწორების შესახებ;

გ) სამშენებლო ობიექტზე არსებული სამშენებლო მასალის, ნაკეთობისა და კონსტრუქციის გამოყენების აკრძალვის შესახებ;

დ) მშენებლობის ორგანიზების პროექტით დადგენილი წესების დარღვევის გამოსწორების შესახებ.

2. აქტის შედგენის ეტაპისათვის მშენებარე ობიექტის ფაქტობრივი მდგომარეობა აჩვენებს, რომ დამრღვევის მიერ №_____ მითითება:

ა) მითითება შესრულდა და დარღვევები გამოსწორებულია;

ბ) მითითება არ შესრულდა;

გ) მითითება არადროულად შესრულდა.

3. „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი“ საქართველოს კანონის 123-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, სამშენებლო სამართალდარღვევასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოება შემოწმების აქტის შედგენით იწყება:

ა) ამ კოდექსის 136-ე მუხლით გათვალისწინებული დარღვევის არსებობისას (მშენებლობის შეჩერების შესახებ მშენებლობის საჯარო ზედამხედველობის ორგანოს დადგენილების შეუსრულებლობა);

ბ) დარღვევის საურავის დარიცხვის შესახებ დადგენილების მიღებისას;

გ) დამრღვევის საჯარიმო თანხის სამმაგი ოდენობის თანხით დაჯარიმებისას;

დ) საეტაპო ოქმის დადგენილი წესით წარუდგენლობისას;

ე) შესაბამის ორგანოში საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში იმ ობიექტის ექსპლუატაციაში მისაღებად განცხადების წარუდგენლობისას, რომლის მშენებლობაც დამთავრებულია;

ვ) თუ დამრღვევი განცხადების საფუძველზე აღიარებს სამშენებლო ობიექტზე არსებულ დარღვევებს და ითხოვს კანონით დადგენილი

ზ) ამ კოდექსის 138-ე მუხლის (მშენებლობის უსაფრთხოების წესების დარღვევა) პირველი ნაწილით გათვალისწინებული დარღვევის არსებობისას, თუ ის ხორციელდება „ტყის ფონდის შესახებ“ და „წყლის შესახებ“ საქართველოს კანონებით განსაზღვრულ ტერიტორიაზე, განსაკუთრებული რეგულირების ტერიტორიაზე ან ზონაში, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში.

დარღვეულია:

_____

_____

(გამოვლენილი დარღვევა)

მუნიციპალიტეტის უფლებამოსილი პირი: _____

_____

(სახელი, გვარი)

(ხელმოწერა)

დამრღვევი: _____

_____

(სახელი, გვარი)

(ხელმოწერა)

შენიშვნა:

_____

_____

_____

აზრი გამოთქვეს: 0

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს წარმოდგენილი დადგენილების პროექტი.

მომხრე: 21
წინააღმდეგი: 0

საკრებულოს თავმჯდომარე **მერაბ ოქრიაშვილი**

სხდომის მდივანი: **ლ. გადრანი**